№ 127
ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 127
ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა-კვრული და შხიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსელელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდერიხოვისა, № 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ეკონომ ქალაქს გარეშე მცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილის. (24—133—1)

საოთხიანი საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

ლ ე კ ვ ი

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა
სახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—46)

Адресъ телеграммъ: Тифлисъ „Фармацевтика“. № 741.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჭსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის სვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ქართული წარმოდგენა
ტფილისის საზაფხულო კლუბში
შაბათს, 16 ივნისს, 1901 წ.
ქართული თეატრის არტისტები:
ქ-ბ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე ქ. მესხი და ვ. გუნია
გამართავენ პირველს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქმნება
I
ჭერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ
კომედია 2 მოქმ. თავ. რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული.
II
ეოლია
ვოდ. 1 მოქ. ალ. ჭიჭინაძის მიერ გადმოკეთ.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია: **ეძვს შაურიდგან მანათ-ნახევრამდე,**
კლუბის არა წევრნი ბადში შესვლისათვის 50 კაპ. იხდიან.
დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.
ბილეთები სათავად-აზნაურო თეატრში ისყიდება, ხოლო წარმოდგენის სადამოს კლუბის ბადში. (3—1).

ტფილისის კერძო სამკურნალო

მისეილ გედევანიშვილისა,
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდ.
დ ი ლ ი თ:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
ნ. ს. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.
ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
ს. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.
ვ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ს. ს. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.
კვირაობით:
ბ. ბ. მადალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ჯ. ი. გელეიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. არგანატკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ფელეტონი

ახალციხის ამბავი.

ასის წლის ულმობელის ომის შემდეგ რუსეთმა ძლივს დაიმორჩილა კავკასიის მთა. აუარებელი რუსის სისხლი დაიღვარა ამ საარაკო ბრძოლის დროს და უფრო ბევრი ნივთიერი მსხვერპლი შესწირა რუსეთმა. შეუპოვარ და ქედ-მაღალ მთის დასამორჩილებლად. მთის სამოუდამოდ დამორჩილება მთავრობამ [illegible]ბით იღღესასრულა 21 [illegible]54 წ. ამ დღეს კავდის ველ[illegible], რომელიცა სევს სოჭი [illegible] გაგრის შუა, მდინარე მდზი[illegible]თის *) ხეობაში, გარდახადეს პა[illegible]ალიანი დიდის მთავრის მიხეილ [illegible]ნიკოლოზის ძის თანადასწრებით. [illegible] დანახარჯის ამოსაღებად და ამი[illegible]ერ-ყუბანის მხარის მკვიდრად დაჭერის გულისათვის, მთავრობა მხნედ შეუღგა მთიელთა ქვეყნების ყაზახებით დასახლებას. 1861 წლიდგან 1864 წლამდე ამიერ ყუბანის მხარეს დააბინავეს ყაზახთა 14,233 კომლი 111 სოფლად, ანუ სტანიცად. ამავე დროს განუწყვეტლივ იხიზნებოდა ჩერქეზობა ოსმალეთში. ოფიციალურ ციფრს რომ ვერწმუნოთ, რაიც სინამდვილეზე მცირეა, 1858 წლიდგან 1865 წლამდე გადასახლებულა ჩერქეზობა 470,753 სული. გადასახლებულნი გაიფანტნენ მცირე აზიასა და ევროპის სხვა-დასხვა მხარეს, მრავალი მათგანი გაწყდა გაჭირვება-მწუხარებისაგან, დანარჩენნი-კი შეერია ადგილობრივ მკვიდრსა. ნახევარი მილიონი ერი, უხვად დაჯილდოვებული ბუნებისაგან ბრწყინვალე ნიჭით, გულადი, მხნე და ვაჟკაცობით სავსე, განისვენებს ამ ჟამად, ბარონ უსლარის სიტყვისამებრ, „ხალხთა და ერთა სასაფლაოზე,“ (ვეიდენბაუმი) *).

*) დარჩენილ ჩერქეზთა რიცხვი ეხლა არ აღემატება 56,423 სულსა.

უბედურება ისაა, რომ წარსულმა ჭკუა ვერავის ასწავლა და დღესაც არ შეწყვეტილა სურვილი სამშობლოს დატოვებისა და გადახვეწისა იქ, სადაც მხოლოდ გაჭირვება, უბედურება, გადაშენება და ძირიან-ფესვიანად ამოვარღნა მოელით. დღესაც მთის ტომნი და ჩვენი გამაჰმადიანებული ქართველობა თითქმის მიჰფრინავს ოსმალეთისაკენ და ჰგონიათ, რომ იქ, ამ მივარდნილ და ყოვლად უბედურ ქვეყანაში, იპოვნიან სამოთხეს და მწუხარება-შეჭირვებისაგან განსვენებას, სადაც, მათის აზრით, სიმართლე გაბატონებულია და კაცთა შორის ლმობიერებაა დამყარებული. არავითარი ჩაგონება, არა ნაირი გრძნობით სავსე სიტყვა, დიდის სიფრთხილით წარმოთქმული, აღარ მოქმედობს. ახალციხის მაზრა ჯერ იყო და დაცალიერდა 1828 წლის ომის შემდეგ. საუკეთესო მკვიდრი, ბეგი თუ გლეხი, გადიხვეწა მაშინ. შემდეგ 1878 წ. ომის გათავების შემდეგ თითქმის მთელი აჭარა-ქობულეთი გაიხიზნა. 1890 წლებში ხელი-ახლა შეირყა აქაური გამაჰმადიანებული ქართველობა და იხუვლა ოსმალეთისაკენ. მიზეზად კერის მოშლისას იმას ამბობდნენ, რომ ჯარში სალდათად წაგვიყვანენო და შინ ოჯახობაში ჯარის-კაცები უნდა ჩაგვისხლონო. ამ ჟამად კიდევ იფეთქა სურვილმა ოსმალეთისაკენ გადახვეწისა და მიზეზად ის დაიხვიეს ხელზედ, რომ ხარჯი მოკვიმატესო. ერთის სიტყვით მიზეზი აყრა-გადასახლებისა მუდამ მზად აქვთ.

თვით ოსმალური გაზეთები (ოსმანლი, მაგალითად) აღნიშნავენ მწუხარებით ამ გარემოებას და აყვედრიან მთავრობას, ხელს ნუ უმართავ კავკასიის მუსულმანობას აქეთ გადმოსახლებისთვისო, ნუ აგულიანებ და აქეზებ ბინის მოსაშლელად, რადგან ოსმალეთში უბედურების მეტი არა მოელის-რაო. გადასახლებულნი შეუჩვევარ ჰავასა და მიწა-წყალზედ ბუზებივით იქლიტებიან, გულს ულრღნის სამშობლოსადმი სევდა და სამუდამოდ ეკარგებათ ცხოვრებასთან ბრძოლის ძალაო...

ამას გარდა, ვინც ცოცხალი რჩება, ისიც აუტანელ სიღარიბესა და გაჭირვებაში ვარდება უმამულობით, რომელსაც ფეშქაშად არავინ ურიგებს, როგორც გადასახლებამდე ჰფიქრობენ ხოლმე. ჩემის თვალით მინახავს ბევრი უკან დაბრუნებული, მაგრამ ვაი ამ ხილვას! დანგრეულ ოჯახში დაბრუნებული, გაღარიბებულ-გაღატაკებული ადამიანს ალარა ჰგავს, მხოლოდ აჩრდილია კაცისა და სხვა არაფერი.

არ მეგულება წერა-კითხვის მცოდნე იმისთანა ქართველი, რომელსაც არ წაეკითხოს „ელისო“, მოთხრობა განსვენებულის ალექსანდრე ყაზბეგისა. მხოლოდ იმის დიდებულ კალამს, იმის მარონცხებულს ნიჭს შეეძლო დაეხატა სავსებით გადასახლებულთა სულის კვეთება, სევდა, ვარამი და გმინვა დაწიოკებული სულიერი არსებისა. ჩვენ უბრალო მომაკვდავთ არ ძალგვიძს ესე. ჩვენი ვალია აღვნიშნოთ მხოლოდ ფაქტი და ვასრულებთ ამ მოვალეობას. ამ

*) ვხმარობ რუსულ ტრანსკრიპციას, [illegible]ადგან ქართული არ ვიცი. ადგილობრივ [illegible]ებაზე ამ მდინარეს ეძახიან ახჩიპსოუ.

ახალი ამბავი

*** 4 ივნისს მომხდარი ქალაქის საბჭოს არჩევანი, რომელზედაც ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეთ გამგეობის წევრი თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი იქმნა არჩეული, ქალაქის გამგეობამ ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად.

*** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთ დაადგინეს გადასდონ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულ სასტატისტიკო ბიუროს შესანახ თანხის გასაძლიერებლად ყოველ წლობით 1000 მან. ამასთანავე დაავალეს ბანკის გამგეობას, რომ ბანკისაგან ბიუროში ორი წარმომადგენელი ყოფილიყო დანიშნული და ბიუროს ჯერ-ჯერობით ტფილისის გუბერნიაში ემოქმედნა. რადგანაც კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადოებამ ეს წინადადება უკვე შეიწყნარა, საზოგადოების საბჭომ მისწერა ბანკის გამგეობას, რომ სასტატისტიკო ბიუროში დანიშნოს ორი წარმომადგენელი და ბიუროს დასახმარებლად გადადებული 2000 მან. საზოგადოებას გამოუგზავნოს.

*** გუშინ, 13 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ სხვა-და-სხვა კერძო კაცებისა თუ ამხანაგობათაგან ქალაქის შუაგულ გამართული აგურ-ხანები და კრამიტის საწვავი ქარხნები ქალაქის განაპირა ადგილებში იქმნას გადატანილი. ამას წინედ გამგეობაში განცხადება წარუდგენია ვერის წმ. ჯვრის ეკკლესიის კრებულს და უთხოვნია თავ. ხერხეულიძის ადგილის მოიჯარადრეთა მაკაროვისა და ტერ-ავეტისიანცისათვის სომეხ-გრიგორიანთა სასაფლაოსაკენ მიმავალ გზის პირად საგურე მიწის თხრა აღეკრძალათ. როგორც შეუმოწმებიათ, ეს ადგილი მართლაც ისეა თურმე დათხრილი, რომ იქ გავლა ყოვლად შეუძლებელია. თავ. ჩერქეზიშვილი ვრცელს მოხსენებაში საჭიროდა ცნობს, რომ ამის შესახებ საგუბერნიო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იქმნეს აღძრული და ეთხოვოს, რომ ქალაქის პირველ, მეშვიდე, მეცხრე და მეათე პოლიციის ნაწილებში, სადაც უფრო ბევრია ასეთი აგურხანები, გაუქმებულ იქმნენ, ხოლო ქალაქის განაპირა მოიჯარადრეთ დაევალოს, რომ მიწის თხრის დროს ადგილები არ დაღარონ და არ გააფუჭონ, რადგანაც შესაძლებელია მომავალში იქ ქუჩები იქმნეს გაყვანილი და ხალხი დასახლდეს. გამგეობამ დაადგინა მოხსენება განსახილველად საბჭოს წარუდგინოს და ამასთანავე სოხოვოს ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ მაკაროვსა და ავეტისიანცს ვერაზედ საგურე მიწის თხრა აღუკრძალოს.

*** საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, უწმ. სინოდის სასწავლებელთა საბჭოს დაუდგენია გამოუგზავნოს საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს სასწავლო წიგნები 3000 მანეთისა და გადასდოს საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს სასარგებლოდ 3000 მან. სასკოლო ნივთების შესაძენად და სამრევლო-სკოლებში დასარიგებლად.

*** რადგანაც ტფილისის ქალაქის საბჭომ ორშაბათს, 11 ივნისს, ყველა საქმის განხილვა ვერ მოასწრო, შემდეგი და ამასთან უკანასკნელი კრება საბჭოსი მოხდება ორშაბათს, 18 ივნისს.

*** ქართულის თეატრის მსახიობთ ბ-ნთ აბაშიძეს, კ. მესხს და ვ. გუნიას განუზრახავთ ამ ზაფხულს ქართული წარმოდგენები ჰმართონ ტფილისის საზაფხულო კლუბში. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი არტისტები. წარმოადგენენ კომედიებს და ვოდევილებს. ფასები ყველასათვის ხელმისაწდომი იქმნება. პირველი წარმოდგენა დანიშნულია შაბათის, 16 ივნისს. წარმოადგენენ ნ. გაბუნიაცაგარლის მონაწილეობით „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ვოდევილს „დათვი“.

*** დღეს, 14 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: კომისიის წევრის ბ-ნ ლისიციანის მოხსენება სასწავლებელთა მუზეუმის დაარსების შესახებ; მოხსენება ტფილისის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს გამგისა იმის შესახებ, რომ ამ სასწავლებელში ამ თვის დამლევს ეგზამენები დაიწყოს; მცირე კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ და სხ.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, 10 ივნისს იქ საძირკველი ჩაუყრიათ რეალურ სასწავლებლის ახალ შენობისათვის ოლდენბურგის ქუჩაზედ.

*** 14 ივნისს ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის პანსიონი საზაფხულოდ მანგლისში მიდის.

*** წელს ტფილისის დედათა 1-ლ გიმნაზიაში 9 კლასი დაუმთავრებია, სხვათა შორის, 6 ქართველ ქალს შინა აღმზრდელის წოდებით: ნინო ვეფხვაძეს, მარიამ მაძღარაშვილს, ნინო მესხს, ოლგა ბაქრაძეს, ალექს. ნებიერიძესა და ქეთევან ტატიშვილს.

*** იტრიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლა მომავალის წლიდგან გადაკეთებულ იქმნება ორ-კლასიანად და მასწავლებელთ ჯამაგირი დაენიშნებათ სამას-სამასი მან. წელიწადში.

*** 12 ივნისს ქალაქის მოურავს წარუდგენია ტფილისის გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად გამგეობის დადგენილება ხორცის საკაპრო ღუქნების დაარსების შესახებ.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიზრახა წელს კავკასიის გამოფენის დროს მოიწვიოს მეურნეთა და მრეწველთა კრებები. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ კრებათა პროგრამები და წესები უკვე გაუგზავნა მიწად-მოქმედების სამინისტროს დასამტკიცებლად. საბჭო კრებების თავმჯდომარეებად ჰნიშნავს: მიწად-მომქმედთა კრებისა—ვ. ნ. გეევსკის, მევენახეობისა და მეღვინეობისა უფროსს აგრონომს სტაროსელსკის, პირუტყვთა მოვლა-მოშენებისა და მერძეობისა—ა. ქალანთარს და შინა-მრეწველობისა—ფირალოვს.

*** ტფილისის სახაზინო პალატის განყოფილების უფროსი ს. ს. ჯანშიევი თავს ანებებს თურმე სამსახურს („ახ. მიმ“.)

*** სამ. ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს კორის განყოფილებას მიენდო მოიწვიოს კორის ქალაქის სამრევლო სეკკლესიო სკოლების გალობის მასწავლებელი.

*** სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალყურის ეპისტოლეოზის მოხსენების თანახმად ხურჯი-მოძღვარს ბ-ნ სალამბეკოვს დაუვალა შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა და გეგმა ტრაბნისის მეორე კლასიან სასწავლებლის ახალი შენობისა; აგრეთვე გადადებულ იქმნა 120 მან. ამავე სკოლის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სასარგებლოდ.

*** ტფილისის ბოლიცმეისტერს დაუვალებია ბოლიციის ბოქაულებისთვის, შეადგინონ ორის კვირის განმავლობაში ქალაქის სახლების დაწვრილებითი სია, რომელშიაც უნდა აღნიშნულ იქმნას: ქუჩების სახელები, სახლების ნომრები და სახლის პატრონთა გვარები.

*** ქალაქის თვით-მმართველობისათვის სუბსიდია უთხოვნიათ შემდეგს დაწესებულებათ: სახალხო კითხვათა კომისიას—500 მან., მასწავლებელ ქალთა სასურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას—1000 მან., ბავშვთათვის სამზრუნველოს—500 მან. და ქართველთა შორის წერა-კითხის გამავრცელებელს საზოგადოებას ახალ წიგნთ-საცავის შესანახად—100 მან.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, ტფილისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება უსუფთაობის გასაზიდად ურმების შემოღების შესახებ. ამ დღეებში გამგეობას ხელ-ახლა დუდგენია, შუამდგომლობა აღძრას უმაღლესს მოვრობის წინაშე ამ ურმების შემოღების შესახებ. ამათ შესანახი ხარჯი ქალაქს—უმაღ. ბანკის ბატრონებს გაწერას 6% დასაფასებელ გადასახადისა, ისე რომ ამ გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნეს ის სახლის პატრონები, რომელთა მამულები 500 მანეთზედ ნაკლებად დაფასებული.

*** სოფ. ძირაგეული (რაჭა) ოცდა-ექვსს მაისს სოფ. ღვიარაში (სადმელის საზოგადოებაა) სადამოთი ძრიელი სეტყვა წამოვიდა და ისე გაახადგურა მთელის წლის მოსავალი, რომ მთელს სოფელში თითოეულს მეკომურს თითო კვირის სამეოფი საზრდო აღარ მოუვა სხვადან საწყლები გულ-ხელ დაკრებიდნი და დმერთსა და კაცს შველასა სოხოვენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით დამხმარე არავინ არის. სადმელის საზოგადოების მწერალმა და მამასახლისმა (დაზარალებულთა თხოვნით) რაჭის მაზრის უფროსს თხოვნა მიართვეს და დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოჩენა ითხოვეს. იმედია, ბ-ნი მაზრის უფროსი თხოვნას უეურადღებოდ არ დასტოვებს და ეცდება დაზარალებულს მუშა ხალხს შემწეობა საიდგანმე აღმოუჩინოს.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

12 ივნისი.

კრება დაიწყო კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით. თუმცა კრებას რამდენიმე საქმე ჰქონდა განსახილველი, მაგრამ მხოლოდ საზოგადოების ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა მოასწრო. როგორც წაკითხულ ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, საზოგადოების ამ, 1901 წლის 1 იანვრისათვის ჰქონია შარშანდელ ხარჯიდგან გადარჩენილი 1519 მან. 58 კაპ. ფულად, საქონელი ტფილისის საწყობში—13,014 მან. 81 კაპეიკისა ხოლო სააგენტოების საწყობებში 19,527 მან. 30 კაპ. ამ წლის განმავლობაში მოსალოდნელი შემოსავალი საზოგადოებისა სულ გამოანგარიშებულია 69,728 მან. 68 კაპ., ხარჯი—67,132 მან. 8 კაპ. ასე რომ მომავალ წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას დარჩება 2596 მან. 60 კაპ.

დღეებში ვიხილეთ მოთხრობაში აწერილი სურათის მსგავსი ამბავი და უნებლიედ გამახსენდა ჩაჩნის ქალი ელისო, ეს მთისა და ველის ნამდვილი ტურფა ყვავილი, წარბშეჭმუხვნილი ნაიბი შამილისა ანზორა ჩერბიჟი და სიცოცხლით სავსე მთისავე შვილი, მოხევე ვაჟია. მაგრამ განსხვავებაც დიდი ვნახე. იქ, ბაუგის ახლოს, თუ კვნესა და გოდება მოისმოდა, აქ, აჭარის სამზღვარზე, რაღაც გაშტერებული და გამოურკვეველი სახის მეტყველება მომელანდა. ან შეიძლება, რაც პოეტმა ადვილად გაითვალისწინა, ჩვენ ვერ გავარკვიეთ. შეიძლება.

ქ. ახალციხიდგან, 45 ვერსის მანძილზე, აჭარის საზღვრის სიახლოვეს, ასე 4—5 ვერსზე, მდებარეობს ს. უთხის-უბანი, სადაც მოსახლეობს ათი კომლი გამაჰმადიანებული ქართველობა. სოფელმა ქართული სრულებით აღარ იცის; დავიწყებიათ ენა ამ უკანასკნელს ხანს. ჩვენობას მოწმობს მხოლოდ თვით სახელწოდება სოფლისა და საზოგადოთ ეთნოგრაფია და გეოგრაფია, დანარჩენი ჩვენი აღარაფერია.

მშვენიერი და თვალწარმტაცი მდებარეობა აქვს უთ'ის-უბანს. გარს არტყია ასწლოვანი დაბურული ტყე ფიჭვისა და ნაძვისა. ზოგის ხნოვანება ორასსა და სამასს წელიწადს უწევს. მაშასადამე ზოგი მათგანი დაბადებულა მაშინ, როდესაც საქართველოს ბაგრატიონნი განაგებდნენ და სამცხე-მესხეთს აწყურიდგან მოყოლება ბათუმამდე ჰპატრონობდნენ ათაბაგნი. უთხის-უბანს მოჰრილი ნაძვი, ჩამოტანილი ტფილისს, ბევრს ძველს ამბავს ჩამოგიტანდათ, ენა რომ ჰქონდეს.

უთხის-უბანს ჩამოუდის პატარა მთის წყალი, უთხის-უბნის-წყალი, რომელიც ერთვის მდ. მახაჭალს. შეერთებული მდინარენი იღებენ სახელს—ბინძე. უკანასკნელი ერთვის ქვაბლიანს სოფელი გაშენებულია მაღალ მთაზე, ასე 5000 ფუტის სიმაღლე იქნება ზღვის დონედან, ახალციხე-ბათუმის შოსის პირად. გზის პირად პატარა ველია, რომელიც წინად სახნავ მიწას „ნაბოსტნევს“ სჭერია. მდინარეზე აგებულია ქვის ხიდი, რომლის ყურთან მხიარულად გადმოსჩქეფს კლდიდგან ჩანჩქერი. სწორედ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ქართველ კაცს, რომ უნახავი და შეუსწავლელი რჩება ამისთანა მშვენიერი ხეობა, როგორიცაა ქვაბლიანი და კერძოთ ისეთის მდებარეობის სოფელი, როგორიცაა უთხის-უბანი. ქართლ-კახელს ხომ ღმერთმა ნიჭი არ მისცა მოგზაურობისა და აბა როგორ მოშორდება მისებრ ზანტ კამეჩებს სხვა კუთხის სანახავად. სწორედ მიამა, არ ვიცი კი რადა, ამ მიყრუებულ კუთხეს გაქართლელებული იმერელი გოგოლაძე რომ ვნახე. გოგოლაძე ტყის სამუშაოდ ამოსულა თაგვეთიდგან (კოდის-წყარო). თაგვეთელები შორაპნიდგან გადმოსული ხიზნებია თთ. ციციშვილებისა და სუმბათიშვილებისა. კახელები-კი, თვით უნივერსიტეტ დამთავრებულნიც, ბევრნი მოიპოვებიან, რომელნიც ავლაბარს არ გასცილდებიან და აბა აჭარის საზღვარზე რა მოიყვანს! მხოლოდ სიამოვნება მოიწამლა უცნაურის ტანსაცმელით. ამ დეევით ვაჟკაცს ჰფარავდა ულაზათო ჯარის-კაცის ფარაჯა, რომლითაც იმოსება დღეს ქართლ-კახელი გლეხი, თითქოს ფარაჯა პარიჟის უკანასკნელი მოდა იყოს. ქართლის კულტურული გავლენა იმერელზედ ალბად ამითი იხატება.

უთხის-უბნიდგან ორი ვერსის მანძილზე, გოდერძის ტყეში, მდ. მახაჭალის მარჯვენა ნაპირზე, სძევს კარგა მოზრდილი ქვა ოთხ-კუთხიანი ამოჭრილი ორმოთი. შიგ ჩაყუდებული ყოფილა ქვის ორ არშინიანი ჯვარი ხუცურის ზედწარწერით. ჯვარი წაქცეულა, ორად გატეხილა და იქვე თვისს საძირკველთან გდია. წარწერა წაბლალულა და თითოოროლა ასოს გარდა ვერა ვავარჩიე რა. წინად ამ ქვასთან სოფელი მახაჭალა ყოფილა; ნანგრევებიც მოიპოვება. ეხლა-კი ვერანაა. აქედგან ზარზმის დიდებულ მონასტრამდე 5—6 ვერსი იქნება. არც ზარზმის გამაჰმადიანებულმა ქართველებმა იციან ქართული რამდენიმე სიტყვის გარდა. ზარზმელები ვაი-ვაგლახით გვაგებინებდნენ ზარზმის მონასტრის შეკეთების ამბავს, თორემ ისტორიას ვინ დაეკითხებოდა მათ. გული გწყდება ამ მშვენიერებას, წარსულის დიდებას რომ უყურებ და გარს კი უცხო და არა მშობლიური ნეტარი ენა გესმის. ასეთი ულმობელობა ისტორიისა, ასე მკაცრად მოპყრობა ბედისა სწორედ არ გაგონილა. მერე ნეტა სიმხნევე, ქვეყლობა მაინც ავკვლებოდა! ერთმანეთის კინკლაობით სული ამოვირთვით, ერთმანეთს სიცოცხლე ჩავამწარეთ, ჩავაზამეთ და ჯილდოთ ის მივიღეთ, რომ საშობლო ნიადაგი დავკარგეთ. პროცესი მამულის დაკარგვისა დღესაც არ შეწყვეტილა და როცა სულ დავკარგავთ და ბოგანონი შევიქნებით, ნეტა გამაგებინა, მაშინ ვიღას უქადაგებენ თითოოროლა ჩვენი ბრძენი მწერალნი ევროპიულ სხვა-და-სხვა „მოდნურ“ სწავლა-მოძღვრებას?

არავინ

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე განხილულ იქმნა განცხადება ტფილისის საბალოსნო სკოლის სამეურნეო კომისიისა, რომელიც საზოგადოებას 150 მანეთსა სთხოვდა კავკასიის გამოფენაზედ საკუთარ პავილიონისათვის საბალოსნო სკოლის ნაწარმოებთა გამოსაფენად. კომისია სთხოვდა აგრეთვე საზოგადოებას იშუამდგომლოს გამოფენის მთავარ კომიტეტის წინაშე, რათა მან თავისის ხარჯით გაუმართოს საბალოსნო სკოლას პატარა პავილიონი. კრებამ შეიწყნარა ორივე თხოვნა კომისიისა.

შემდეგ კამათი გამოიწვია საფიზიკო ობსერვატორიის გამგის ბ-ნ გლასეკის განცხადებამ საფიზიკო ობსერვატორია ყოველ თვე ჰბეჭდავდა კავკასიის შესახებ მეტეოროლოგიურ ცნობებს ყოველთვიურ ბიულეტენში. ეს რამდენიმე ხანია ბიულეტენის ბეჭდვა შესწყდა ფულის უქონლობის გამო. ეხლა, როგორც ამას წინად აღნიშნულიცა გვქონდა, საფინისტროს გადაუდვია ამ საქმისათვის 1000 მ. ამას გარდა ობსერვატორია სამეურნეო საზოგადოებასაც სთხოვს, წინანდელ წლებისამებრ 300 მან. საბჭოს შესაძლებლად უცვლია ამ ფულის მიცემა. კრებაზედ ზოგნი წინააღმდეგნი გაუხდნენ ასეთს განცხადებას და ამბობდნენ, რომ ჩვენ სასტატისტიკო ბიურო გვექნება და ფული თვით დაგვჭირდებაო. ცოტა ხნის კამათის შემდეგ, კრებამ შეიწყნარა ბ-ნ გლასეკის განცხადება.

ამავე კრებაზედ, გამოფენის კომისარის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის განცხადებით, საზოგადოებამ გადასდვა 500 მანეთამდე. ამ ფულით შეძენილ იქმნება ჯილდოები საუკეთესო ექსპონატების პატრონთა დასაჯილდოვებლად. კრებამ აგრეთვე საჭიროდ სცნო დააჯილდოოს საზოგადოების წევრი ბ-ნი ზავროვი 200 მ. მის მიერ ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში პურის მოსავლიან ადგილების გამოკვლევისა და ამის შესახებ ვრცელის მოხსენების შედგენისათვის. დასასრულ კრებას უნდოდა თავის მხრით სასტატისტიკო ბიუროს სამი წევრი ამოერჩია, მაგრამ გვიან იყო და ვეღარ მოასწრო.

საბრალმდებლო ოქმი ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრთა საქმის გამო.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრნი სამართალში იქმნენ მიცემული დაუდევრობისა, უყურადღებობისა და მოვალეობის წესიერად არ აღსრულებისათვის. საბრალმდებლო ოქმი ამ საქმის გამო ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის მოურავს, რომელმაც საბჭოს 11 ივნისის სხდომაზედ წაიკითხა იგი. როგორც ამ ოქმიდგანა სჩანს, ბრალი ედებათ ერთობლივ წინანდელ გამგეობას და ცალ-ცალკე იმის წევრებს: ქალაქის თავს ევანგულოვს, გამგეობის წევრებს: ხოსროევსა, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა, ივანენკოსა და ვერმიშევს.

I. ერთობლივ გამგეობას ჰბრალდება დაუდევრობა თანამდებობის აღსრულების დროს (ქ. მოურავს ევანგულოვს 1898 წლის თებერვლიდგან იმავე წლის ნოემბრამდე, ხოლო გამგეობის წევრებს—1897 წლ. 1 იანვრიდგან 1898 წლ. ნოემბრამდე). ეს დაუდევრობა გამოიხატა შემდეგში:

1) გამგეობამ არ წარუდგინა საბჭოს მოხსენება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტთა სახელმძღვანელოდ გამოსაცემ ინსტრუქციების შესახებ, რის გამოც აგენტები ვერც დავთრებს აწარმოებდნენ და ვერც ფულს ჰკრეფავდნენ წესიერად: ზოგჯერ მეტს იღებდნენ გადასახადის გამღებთა საზარალოდ, ზოგჯერ კიდევ ნაკლებს ქალაქის საზარალოდ; 2) გამგეობამ საჭირო ზომები არ მიიღო ქალაქის ყველა უძრავ მამულის ცნობაში მოსაყვანად, არ მიიყვანა ცნობაში ამ მამულების მდგომარეობა, საზღვრები, სიერცე, რის გამო მამულების შესახები საქმენი ისევ აწეწილ-დაწეწილი, რომ ზოგიერთ მამულის შესახებ ვერც-კი გაიგებს კაცი, ქალაქისაა და თუ კერძო კაცისა; 3) გამგეობამ შესაფერად ვერ უგდო ყური ქალაქის მამულებს, რის გამო ზოგიერთი ადგილები კერძო კაცებმა დაიტაცეს; 4) გამგეობამ არ დაამზადა დროზედ და არ წარადგინა დასამტკიცებლად ქალაქ ტფილისის გეგმა; უგეგმოდ კი ძნელი იყო მამულების ზედამხედველობა და მართვა-გამგეობა; 5) გამგეობა არ შეუდგა ნავილუხის ორის ალარაკისა, ავლაბრის ალარაკის ნაწილისა და „ნავთის ჭილის“ ექსპლუატაციას; გამგეობის ამგვარ დაუდევრობის გამო ამ ადგილებიდგან დღემდე ქალაქს არავითარი შემოსავალი არა აქვს; 6) გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ტფილისში საიჯარო ფასი მატულობს, და ერევნის მოედანზედ ქალაქის სახლებში არსებულ მაღაზიების მოიჯარადრეთ ბევრად ნაკლებს ართმევდა იგი, ვიდრე კერძო სახლებში ართმევენ; 7) გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია, რომ ქალაქის მამულების მოიჯარადრეებს დროზედ შეეტანათ ფული, რის გამო ამ მოიჯარადრეებზედ დარჩა დიდძალი ფული, რომელიც წლიურს გარდასახადს აღემატება; 8) გამგეობამ წერილობითის პირობის ნაცვლად აგენტების შემწეობით სიტყვიერ პირობით გასცა ხის დუქნები; 9) არ შეადგინა გამგეობამ სია ამ დუქნების მეიჯარადრეთა და აგრეთვე იჯარით გაცემულ ქალაქის მიწის წვრილ ნაკრებისა; და, დასასრულ, 10) გამგეობამ არავითარი ღონისძიება არ იხმარა დაფასების დარჩენილ გადასახადის შესაკრებად, რის გამოც ეს დარჩენილი ფული 1892 წლის ბოლოს 120,000 მანეთამდე ავიდა. ზემოდ ჩამოთვლილი დაუდევრობანი და უყურადღებობანი წინდახედულია სასჯელთა დებულ. მე-411 მუხლში

II. გამგეობის წევრთ ხოსროევსა და თავ. არღუთინსკის, წევრებად ნამყოფთ ივანენკოსა და ვერმიშევს ჰბრალდებათ დაუდევრობა თანამდებობის აღსრულების დროს. ეს დაუდევრობა იმით გამოიხატა, რომ მათ საყასბოს შეკეთებისა და გადამდებ სენით ავადმყოფთა ბარაკების აგების საქმე გასცეს ისეთის ხარჯთ-აღრიცხვით, რომელიც სავსებით და კარგად არ იყო შედგენილი; არ იყო აღნიშნული, რა ძასალა უნდა ეხმარათ, არ შეეკვრენ დამატებითის პირობით მეიჯარადრეთ არ შესრულებულ საქმეთა შესახებ, არ შეადგინეს აქტი ნამუშევრის მიღების შესახებ და არ მოითხოვეს ყველა საბუთის ქალალდი ამ საქმის გამო. ეს დაუდევრობანი წინ დახედულია სასჯ. დებ. მე-411 მუხ.

III. ქალ. მოურავს ევანგულოვსა, გამგ. წევრთ თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და წევრად ნამყოფთ ივანენკოსა და ვერმიშევს ის ბრალი ედებათ, რომ 1898 წელს, 12 მაისს, მოხსენებაში, რომლითაც 70,000 მანეთის სესხის აღებას თხოულობდნენ ტრამვაისათვის საჭირო ნივთების შესაძენად, დაუდევრობის გამო არ შეიტყეს რა რაოდენობა ქალაქის ვალებისა, და არ გაიგეს რა თანხას შეადგენდა 1897 წლის შემოსავალი, შემცდარი ცნობები შეიტანეს და აღნიშნეს, რომ 1897 წელს ქალაქს 1,184,000 მანეთი შემოსავალი და 1,094,359 მ.ნ. 27 კაპ. ვალი ჰქონდაო; ნამდვილად-კი ამ დროს ვალი აღემატებოდა აღნიშნულ რიცხვს, ხოლო შემოსავალი ქალაქს 1897 წელს ჰქონდა სულ 1,069,983 მან. 15 კაპ. ეს დანაშაულობანი წინდახედულია სასჯ. დებ. მე-417 მუხ.

IV. გამგეობის წევრად ნამყოფს ვერმიშევს ის ბრალი ედება, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ქალაქის გამგეობის ფულისა და სხვა ანგარიშების წესიერ წარმოებას, რის გამოც საბუჰგალტერო ანგარიშები აწეწილ-დაწეწილი და შეცდომით სავსე იყო. სახელდობრ: 1) საბუჰგალტერო და ზოგიერთი საკასსო წიგნები ზონარ გაელებული და დაბეჭდილი არ იყო; მრავალ ადგილას მელნითა და კარანდაშით გასწორებული, აგრეთვე ამოფხეკილი ადგილები არ იყო აღნიშნული ბოლოში და სხვა. 2) საბუჰგალტერო და საკასსო წიგნებში არ იყო ცნობები იმის შესახებ, თუ ფული ვისგანაა მიღებული და ვის მიეცა; 3) საბუჰგალტერო ჟურნალი წესიერად ნაწარმოები არ იყო; 4) წესიერად არ ინახებოდა შემოსავალ-გასავლის გასამართლებელი საბუთები, რომლებსაც სხვა-და-სხვა საქმეს აკერდნენ; ზოგი დაკარგულიცაა; 5) დაფასების გადასახადის წიგნში შეცდომებია; ზოგგან შემოტანილი ფული დროზედ არ არის ჩაწერილი, ზოგგან კიდევ სავსებით; 6) წესიერად არ იწერებოდა ქალაქის ადგილებისა და ფარდულების საიჯარო ფულის შემოსავალი. ეს დანაშაულობანი წინდახედულია სას. დებ. მე-404 და 411 მუხ.

V. გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს ის ბრალი ედება, რომ ყურადღებას არ აქცევდა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს გადასახადის მოკრეფის საქმეში: 1) არ იყო სრული და კარგად შედგენილი სია იმ ფულის დავთრებისა და მარკებისა, რომლებიც აგენტებს ეძლეოდათ; 2) წესიერად ყურადღება არ ექცეოდა აგენტებისაგან დავთრებისა და დარჩენილ მარკების დაბრუნების საქმეს; ზოგიერთი დავთრები და მარკები სულაც არ წარუდგენიათ გამგეობისათვის აგენტებს; 3) არ ადარებდა ფულის დავთრებსა და გასამართლებელ საბუთებს, მხოლოდ ზოგიერთ დავთრებს ადარებდა; 4) კონტროლს არ უშვრებოდა აგენტების მოქმედებას გადასახადის და სასწორთა შემოსავლის შეკრების საქმეში; გადასახადის გამღებთ ზოგჯელ კვიტანციები და მარკები არ ეძლეოდათ; 5) ყურადღებას არ აქცევდა, რომ თავისს დროზედ ქალაქის კასსაში წარედგინათ გადასახადი, აგენტების მიერ შეკრებილი; 6) აეპალის ქუჩაზედ არსებულ სასწორზედ გადასახადის მომკრებს დავთარი არა ჰქონდა შემოსავლის ჩასაწერად; 4) არ იყო შედგენილი სია კერძო სასწორებისა, რომლებზედაც ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი იყო გაწერილი; არც თვალ-ყურს ადევნებდნენ ამ სასწორის პატრონთაგან ფულის შეკრებას; 8) არ იქმნა ზომები მიღებული ეგრედ წოდებულ „საკვირაო“ გადასახადის რაოდენობის გასაგებრიგებლად. შედეგად თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის ამ დაუდევრობას ის მოჰყვა, რომ აგენტები წესიერად არ აწარმოებდნენ გადასახადის დავთრებს და მარკების ანგარიშებს; ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილი შემოსავალი არ შეეფერებოდა დავთრებში აღნიშნულ რაოდენობას, აგრეთვე გაცემულ მარკების რაოდენობა და ფასი გადასახადის ჯამს, აგენტების მიერ კასსაში წარდგენილს; კერძო სასწორების პატრონთაგან ფული არ შესდიოდა ქალაქს; სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველები მ. კუზანოვისა და ი. ხეროდინოვის მიერ 1897 და 1898 წელს გაფლანგულ იქმნა გადასახადის ნაწილი; შესამჩნევად იგვიანებდა იმ ფულის კასსაში შეტანა, რომელსაც სავაჭრო პოლიციის აგენტები ჰკრეფდნენ. ეს დანაშაულობანი წინ დახედულია სასჯ. დებ. მე-339, 344, 404 და 411 მუხლ.

VI. ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფს ვერმიშევს ის ბრალი ედება, რომ დაუდევრად განაგებდა გამგეობის ამშენებელ ნაწილს, რაიცა შემდეგში გამოიხატა: 1) ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ უწესოდ აწარმოებდნენ საამშენებლო სამუშაოების შესახებ საანგარიშო წიგნებსა და მთლად საქმის-წარმოებას; ამასთან ზოგიერთი საბუთის ქალაღდები დაიკარგა კიდეც; 2) წესიერი ყურადღება არ ექცეოდა ქუჩების შეკეთების საქმეს; ეს საქმე წერილობითი პირობით არ იძლეოდა იჯარით, ამასთან არ ადგენდნენ ტეხნიკურ პირობებსაც; უწესოდ სწარმოებდა აგრეთვე ამ სამუშაოთა მიღება და მოიჯარადრეთა გასტუმრება. ეს დანაშაულობანი წინ დახედულია სასჯ. დებ. მე-404 და 411 მუხლებში.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ათს ოვნისს აქაურის ქართული სკოლის დარბაზში მოხდა კავკასის ქართველების საზოგადო კრება, რომელსაც დასწრო ორმოცდა-თოთხმეტი წევრი საზოგადოებისა. კრების გახსნის წინ აქაური ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა ვ. ად. გოთუამ მოახსენა კრებას, რომ წელს შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც აქაურმა ქართველებმა დაჰკარგეს საუკეთესო მამულიშვილი და დიდი მოამაგე ჩვენის სკოლისა მ ზ. ეიფიანი, რომელიც სკოლის დაარსებიდგანვე გარდაცვალებამდის იყო თავმჯდომარედ აქაურის კომიტეტისა; ამათანავე წელსვე გარდაიცვალა მეორე მოკეთე ჩვენის სკოლისა, თავადი ეროთეოს გიორგის ძე სიდამონოვ-ერისთავი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში მუდმივ წევრად და თავმჯდომარედაც იყო კომიტეტისა. საზოგადო კრებამ ორთავეს ხსოვნას პატივი სცა ფეხზედ წამოდგომით.

ამის შემდეგ საზოგადო კრების თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ერთხმად პატივცემული სტ. ივ. ზოზოები. კრებას საგანად ჰქონდა არჩევანი სამზრუნველოს ერთის წევრისა, სამის კანდიდატისა და ხუთის სარევიზიო წევრისა. კომიტეტის წევრად ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ექიმი მოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი, კანდიდატად: ივ. დიმ. მაისურაძე, ტ. ბ. კახიძე და გრიგოლ ბურდული, ამათში ბ-ნმა კახიძემ კანდიდატობაზედ უარი განაცხადა და მის მაგიერ მოწვეულ იქმნა გიორგი ბურდული. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ზ. ფ. კიკნაძე, ვ. მეფურნიშვილი, გ. ბურდული და ილ. ბაქრაძე, ამ უკანასკნელმა მოუტლელობისა გამო უარი განაცხადა და მის მაგიერ მოწვეული იქმნა ი. ფ. კასაევი. არჩევანების შემდეგ ბ-ნმა ვ. გოთუამ წაუკითხა საზოგადო კრებას 1900 წლის სამზრუნველო კომიტეტის ანგარიში. ანგარიში იყო ისე დაწვრილებით შედგენილი, რომ არ აკლდა არც ერთი კაცი მოუხსენებლად, ვისაც ცოტა რამეცკი გაუკეთებია მოულის წლის განმავლობაში სკოლის სასარგებლოდ. ეს ანგარიში, რომელიც მტირე შრომას არ მოითხოვდა შემდგენელის მხრით, მოიწონა საზოგადო კრებამ და გადაწყვიტა გადაეცეს სარევიზიო კომისიას. ანგარიშის მოსმენის შემდეგ წამოდგა საზოგადოების წევრი ბ-ნი ტ. კახიძე და განაცხადა ის აზრი, რომ კომიტეტს წინად ჰქონდა გადაწყვეტილი აედო სკოლისათვის ორი დესეტინა მიწა, ერთი ფასად და მეორე უფასოდ, შემდეგ კომიტეტს ეს ძველი დადგენილება დაურდვევია და სკოლის ახლოსვე აუღია ქალაქისაგან მხოლოდ ერთი დესეტინა მიწა უფასოდ. ამის შემდეგ ბ-ნმა კახიძემ ბევრი იდავარაკა საზოგადო საფუძის სკოლებზედ სამინისტროს შეხედულობის შესახებ, ფიზიკურის შრომას მიჩვევის შესახებ პირველ დაწყებითს სკოლებში და ბევრი კიდევ სხვა, და ბოლოს განაცხადა, რომ ერთი დესეტინა მიწა, რომელიც სკოლის ახლო აუღია კომიტეტს უფასოდ, ხეხილები ჩაურგავს და ბოსტანიც მოუშენებია, საკმარისი არ არისო და ამიტომ ძველი დადგენილება ორი დესეტინის შესახებ კომიტეტს არ უნდა შეეცვალოო. ამაზედ ბ-ნმა გოთუამ უპასუხა: დღეს ის ერთი დესეტინა, რომელიც უფასოდ ავიღეთ ქალაქისაგან, სრულიად საკმაოა იმ საქმის დასაკმაყოფილებლად, რომელიც აზრად ჰქონდა კომიტეტს მიწის შეძენის დროს, ხოლო ამის შემდეგ თუ კიაუღებლად საჭირო შეიქმნება ფუფლად მიწის შეძენა, ექვე ახლოც შეიძლებაო. ამ დროს კრების თავმჯდომარემ სთხოვა მსურველს წარმოეთქვა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ. საზოგადო კრებამ გადაწყვიტა ვერაფერი წარმოსთქვა. ამ საკითხის გადაწყვეტა და ყოველის მხრივ განხილვა გადაეცა კერძო კომისიას, რომელსაც შეადგენენ ი. მაისურაძე, ილ. ელერდაშვილი, ს. მეფურნიშვილი, მაგ. კვიკინაძე და გ. ბარათაშვილი, რომელთაც კრებამ დაავალა სკოლის კომიტეტ-

თან ერთად ადრრული საკითხის ოფველის მხრივ კამოკვლევა და საზოგადო კრებისათვის მოხსენება. ამას გარდა ბ-ნმა კახიძემ მოითხოვა შეეტანათ ოქმში ის აზრი, რომ სკოლის სამზრუნველოს არ მოუხსენებია საზოგადო კრებისათვის 1899 წ. ანგარიში და ამასთან ისიც, რომ კომიტეტს არ ჰქონდა უფლება მოეწვია საგანგებო კომისიის წევრნი საზოგადო კრების დაუკითხავადაო. ამის შემდეგ კრება დაიშალა. კრების დაშლის წინ ბ-ნმა ბ. გოთუამ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ქალაქის თავისაგან უფლება ავიღეთ საქალაქო ბადში აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში გავმართოთ სახალხო სეირნობა ბაზრითურთ და ვალდებულნი ვართ ეგელამ ხელი შეგუწყოთ ამ საქმესაო.

კახაბერი

წერილი ბარის ოსეთიდგან

სტანიცა არდონი (სუნჯის განოფილება). ცამეტი მაისი არდონელებისათვის დიდად სამახსოვრო და გასახარი დღე იყო. როგორც იყო, დიდის ხნის ნატვრა შეუსრულდათ, ეკკლესიის შენება დაამთავრეს და ცამეტს მაისს კიდევაც აკურთხეს. ეკკლესია აკურთხა ყოველად სამღვდელო კავკასიის და მოზდოკის ეპისკოპოსმა ვლადიმირმა არდონის სამისიონერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის დიმიტრისა და სხვა სამღვდელოების თანამწირველობით. აქვე იყო თერგის ოდქის უფროსის თანაშემწე გენერალ-მაიორი ბისარევი და სხვა-და-სხვა სოფლებიდგან მოწვეული მრავალი ხალხი. სადილზედ ყოველად სამღვდელომ ფეხზედ წამოდგომით წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და სრულიად სამეფოისა სახელობისა, ხოლო შემდეგ გენერალმა ბისერევმა ადღეგრძელა მათი მეუფება ვლადიმირი. არხიმანდრიტმა დიმიტრიმ მათს მეუფებას მშვენიერი სიტყვა უთხრა, რომელშიაც მათის მეუფების ღვწლი და შრომა და მრავალი კეთილი საქმე უნაკლულოდ დასურათა. ახალი ეკკლესია არდონელებს სამოცი ათასი მანეთი (60,000 მ.) დაუჯდათ.

ეკკლესიის კურთხევის დღეს მოწვეულ ხალხის პატივსაცემლად და სახარჯოთ 1C70 მან. ჭქონდათ გადადებული.

—

სოფ. ნოვო-ურუხი (კავკასის მაზრა). ეს სოფელი ახალი სოფელია და გაშენებულია მდინარე ურუხის კალმა ჩრდილოეთ მხარეს ჩერქეზეთის საზღვარზედ, სულ ოცი წელიწადი არ იქნება, რაც აქ სოფელი გაშენდა. სცხოვრობენ სხვა-და-სხვა მთებიდგან გადმოსახლებულნი ოსები და ამიტომაც სამ-ოთხს სახლს ერთის გვარისას ძნელად შეხვდებით: სულ სხვა-და-სხვა გვარისანი არიან და ერთმანეთს ვერაფერით უდგებიან. ამის გამო მათ შორის ჩხუბი და დავი-დარბა, თავის მტვრევა და კაცის კვლა ძალიან ხშირი მოვლენაა ხოლმე, რის მაგალითსაც თითონ დავესწარი.

ოც-და-სამს წარსულ აპრილს, წმ. გიორგის დღეობას, სოფელმა სადმრთო გაუკეთა. ისედაც არეული, არეით გაჟღენთილი ხალხი ბოლოს მთლად გადაირია და მათის ეიჟინით ეურთა სმენა ადარ იყო. უცბად ამ ეიჟინის დროს ხანჯლების ტრიალი და მიწევ-მოწევა შეიქნა. ორი ხანჯალ-ამოდებული ოსი, ბასიევი და თოთიროვი, ერთმანეთს მეტივნენ და გამხეცებულნი გამშვედებულთაც-კი ადარ ინდობდნენ. უცბად აპრიალდა ხანჯალი ბასიევმა და ისე დონიგრად დაჭკრა თოთიროვს მარცხენა მკლავში ხანჯალი, რომ თავათაც წაიქცა. ამაუშვა თოთიროვმაც ზევიდგან ამართული თავისი გრძელი ხანჯალი წაქცეულს ბასიევს მხარში და ისე დონიგრად დაჭკრა, რომ ხანჯალი შუაზედ მოიკაკვა. მძიმედ-დაკოდილთ სისხლის დვარი წავარდათ და თვითონვე შედგნენ. გამშვედებულთაგან ერთი დედაკაცი (ბასიევის დედა) და ერთი კაცი დაიჭრა. ორივე დაკოდილნი მძიმედ არიან დაჭრილნი, ასე რომ თუნდა კიდევაც მორჩნენ, დაუშავებელნი არ დარჩებიან.

აგერ თითქმის სამი თვეა სოფელში წითელა და ეიკანა ხვლაა გავრცელებული და ძრიელაც აზარალებს ბავშვობას.

ქართველი ოსებში

დამაკვირდი

ისტორია რომანია, რომელსაც უჯერებენ, რომანი-კი ისტორიაა, რომელსაც არ უჯერებენ.

* * *

კარგი წიგნი სასიამოვნო მოსაუბრეა, გულ-ახდილი მეგობარი და შეუსყიდებელი მრჩეველი.

ალფონს ელსაბიო

* * *

ლიტერატურაში არ არის არც კლასიკური, არც რომანტიული, არის მხოლოდ მართალი და ტყუილი, კარგი და ცუდი.

ნოდიერ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

ამოკრებილი ამბები

სამხრეთ ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის შუა, ოკეანეში, მდებარეობს ერთი პატარა კუნძული სახელად ტრისტან და-კუნია. ამ კუნძულისა და იქ მცხოვრებთა შესახებ ერთის ამერიკული გემის კაპიტანი საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს. კუნძული თავისუფალია თურმე, იგი არც ერთს სახელმწიფოს არ ეკუთვნის. როდესაც ჩვენი გემი, სწერს კაპიტანი, კუნძულს მიუახლოვდა, წინ შეგვეგება ნავი, რომელშიაც ცხრა კუნძულელი იჯდა. მოიტანეს კუნძულელებმა თან ხორცი, რძე, კვერცხი და გვთხოვეს ეს სანოვაგე ტანისამოსსა, ფქვილსა, თამბაქოსა და ბრინჯში გაგვეცვალა. კუნძულელები დაძველებულ ტანისამოსშიაც-კი დიდ მადლობას გვიხდიდნენ. მეტად ზორბა და ჯან საღნი იყვნენ კუნძულის მცხოვრებნიო. როგორც კაპიტანს შეუტყვია, კუნძულზედ სულ 63 კაცი სცხოვრობს თურმე. მათ 600 სული მსხვილ-ფეხი საქონელი და მრავალი ცხვარი ჰყოლიათ. 1900 წ. კუნძულზედ ცუდი მოსავალი ყოფილა. კუნძულელებს ყოველთვის ბლომადა აქვთ ხორცი, მწვანილი, რძე, ერბო, კართოფილი, სამაგიეროდ ხშირად აკლიათ ფქვილი, ჩაი, ყავა, თამბაქო, თუმცა თამბაქოს კუნძულზედ მხოლოდ ხუთი კაცი სწევს. გემები ძალიან იშვიათადა ჰხვდებიან ამ კუნძულს. სახელად კუნძულს პორტუგალელის მოგზაურის ტრისტან და-კუნიას სახელი დაერქვა, რომელმაც პირველად აღმოაჩინა (1506 წელს) ეს კუნძული. კუნძული 164 ოთხკუთხ ვერსტს შეიცავს.

* * *

პოლონურ გაზეთების სიტყვით, შესანიშნავი ბელეტრისტი ჰენრიკ სენკევიჩი დიდ რომანს ადგენს თურმე. რომანი ისტორიულია, სახელად ერქმევა „სობესკი“. დაიბეჭდება ეს რომანი პოლონურად „პოზნანის დღიურში“ და ინგლისურად ერთ ინგლისურს ჟურნალში.

* * *

პარიჟში ამ ზაფხულს, როგორც შარშან, დიდ მოდაშია შლიაპები ცხენებისათვის. ქუჩაში ბევრ ცხენს შეხვდება დღეს კაცი, რომელსაც თავზედ კოხტა შლიაპა აქვს წამოსკუპებული, ყურები ცხენს გაშვერილი აქვს ამ შლიაპის ორ ნახვრეტში; შუაზე ისეა გამართული, რომ შიგ სველი ღრუბელი ჩაიდება გასაგრილებლად. ძალიან მეცოსა სცდილობდა ამ შლიაპების შემოღებისათვის ჟურნალ „პირუტყვთა მეგობარი“-ს რედაქტორი ქ-ნი ადრიენნა ნეიერი, რომელსაც ეხლა აზრადა აქვს მუქთად დაურიგოს შლიაპები მეეტლეებს. ამ ჟამად ნეიერი შემოწირულებასა ჰკრებავს შლიაპების შესაძენად, ნეიერს უთქვამს, თუ საჭირო იქმნება, მადელენის ქუჩაზედ დავდგები და რომელი ეტლიც გამოივლის ცხენებს მე თვით დავხურავ შლიაპებსაო. ასეთი წვალება არც-კი მოუხდება ნეიერს: ჯერ დღესვე მეეტლეები პირდაპირ ნეიერთან მიდიან შლიაპებისათვის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 ივნისი.

ᲙᲠᲐᲓᲝᲙᲘ. ვატერკლოფთან მომხდარ ბრძოლის შესახებ შემდეგი დაწვრილებითი ცნობები იქმნა მიღებული: მიდლანდიის ცხენოსან მსროლელთა რაზმი, მალანის მდევრად გაგზავნილი, ოთხშაბათს ვატერკლოფთან დაბანაკდა. ბურების უფროსმა კრეიცინგერმა შეიტყო ესა და გათენებისას, როცა ინგლისელთა ჯარი წასვლას აპირებდა, ბურებმა სროლა დაუწყეს ბანაკს. ბრძოლა $2^1/_2$ საათს გაგრძელდა. ინგლისელებს მოუკლეს 10 კაცი და 11 დაუჭრეს.

ᲞᲝᲠᲢ-ᲡᲐᲘᲓᲘ. გუშინ აქ ერთი კაცი გახდა შაკი ჭირით ავად.

ᲙᲐᲞᲨᲢᲐᲓᲢᲘ. პოლკოვნიკი ჰილჩერი ახლად მოქმედებს ორანჟეს რესპუბლიკის დასავლეთით. 4 ივნისს სწრაფ-მოსიარულე რაზმმა ბულფონტენი აიღო. 8 ბური ტყვედ იქმნა წაყვანილი, ინგლისელებს დარჩათ 500 ცხენი და მრავალი საქონელი და ურემი.

ᲢᲘᲐᲜᲫᲘᲜᲘ. გენერალმა გეიმ დღეს ინახულა უცხოელთა გენერლები და ქალაქის დროებითი გუბერნატორები. გეი იკისრებს თვითონ ოლქის მართვას ტ. ავაზაკებისა და „დიდი მუშტის“ გაქრობას აპირებს. ერთი იმისი კაცთაგანი დღეს დააპატიმრეს სამხედრო სურსათის წაღებისათვის.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. როგორც ხმა დადის, გეის მაერ რუსეთის ელჩის გრაფის კასინისადმი წარდგენილებამ შაჭარსა და ნავთზედ ბაჟის გაწერის შესახებ, ინკინდენტს ჯერ-ჯერობით ბოლო მოუღო.

12 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. აქ ჩამოვიდა გერმანიის გენერალი გრაფი ფონ-მოლტკე და მასთან სამხედრო დეპუტაცია.

ᲝᲓᲔᲡᲐ. აქ მოვიდა თავისუფალი ფლოტის გემით „Тамбовъ“-ით ტიბეტის საგანგებო საელჩო, რომელსაც სათავეში ლამა დორჟიევი უდგას. საელჩო დალაი ლამას შეუდგენია და მისი საკუთარი წერილები და საჩუქრები თურმე მიაქვს. საელჩოს კარგად დაუხვდნენ. ქალაქის მოურავი პურ-მარილით შეეგება. ორის დღის შემდეგ საელჩო პეტერბურგში წავა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. რადგანაც საქსონიის ორს დიდს ბანკს საქმე კარგად ვერ წაუვიდა, გერმანიის ბანკმა თავისი დიდის ხნის განზრახვა შეასრულა და უკვე გახსნა განყოფილება ლეიპციგში.

ᲚᲔᲘᲞᲪᲘᲒᲘ. ლეიპციგის ბანკის ზედამხედველი საბჭო აცხადებს, რომ, დრეზდენის საკრედიტო ბანკის გაკოტრებისა და თავის ვექსილების განაღდების შეფერხებისა გამო, კრედიტორების სარგებლობის გულისათვისვე იძულებულია დროებით ფულის გაცემა შესწყვიტოს. ბანკი ირწმუნება, რომ კრედიტორები არას დაჰკარგავენ რადგანაც თავისს ვალდებულებათ ბანკი ნელ-ნელა და თან-და-თანობით დააკმაყოფილებს და შესაძლებელი იქნება აქციონერებისათვის უკეთესი შედეგის მოლოდინიც იქონიოს. ბანკის თანხას 48 მილიონი შეადგენს.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. როგორც ეტყობა, საზღაურის კითხვა მალე საკეთილოდ გარდასწყდება და ისე, როგორც ამას საზოგადოდ დიდი ბრიტანია ურჩევდა, გარდა ამისა, ელჩებმა ერთმანეთ შორის მოალაპარაკეს თურმე, ზოგიერთა საგნებზედ საბოლოო გარდასახადი საერთაშორისო კომისიამ დაადგინოს და დანიშნოს ეს გარდასახადი არა საქონლის ფასის მიხედვით. გარდაუწყვეტიათ აგრეთვე, რომ ტიანძინთანა და შანხაისთან მდინარე შეეწორდეს და გაიწმინდოს და ამ ხარჯში ჩინეთის მთავრობასაც მონაწილეობა მიიღებინონ. არ არის ჯერ გარდაწყვეტილი მხოლოდ ორი საგანი. იაპონია თხოულობს, რომ საზღაურის თანხას მოემატოს იმდენი, რომ ზარალი უზღოს, რადგანაც დღევანდელს პირობებში მას არ შეუძლიან ნორმალურის ღირებულობის 4% სესხი გასცეს. იაპონიის ასეთი სურვილი სრულიად საფუძვლიანათ იქმნა ცნობილი. ყველა სახელმწიფომ დაასახელა ნამდვილი თანხა საზღაურისა, რომლის მოთხოვნაც განზრახული აქვთ; მაშასადამე, ნამდვილს საზღაურის სიას სახელმწიფონი უთუოდ მალე გადასცემენ ჩინელებს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, მოხდება

საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის მილის გამართვის საქმე ამა-ლლების ქუჩაზედ ქამოევის ქუჩიდგან იმავე ქუჩაზედ გამართულ მილამდე. სამუშაო სულ 1424 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიათ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—2)

კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო

გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახეობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, და ღია ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის-პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ.

(10—6.—10)

ახალი შევსებული გამოცემა.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲐᲠᲘ

დაიბეჭდა ახალ მეთერთმეტე გამოცემად და ისყიდება წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ამ გამოცემაში ბევრად შევსებულია გეოგრაფიული, ისტორიული და ქრისტომატიული განყოფილება. სივრცით ეს გამოცემა აღემატება წინანდელს 80 გვერდით. ფასი კი იგივეა, ესე იგი ოთხი აბაზი ყდით. ხოლო ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპეიკად, ვინც ოცობით— 64 კაპეიკად.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Іюня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხუდაძისა, დიდის-ქუჩაზედ ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე